



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგია“

ხელნაწერის უფლებით

ნინო ხუბერაშვილი

შესიტყვებების როლი დარგობრივ თარგმანში
(იურიდიული და ფინანსური ტექსტები)
ქართული და ინგლისური ენების მაგალითზე

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

0232.1.3. ფილოლოგია

თბილისი

2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლელა აბდუშელიშვილი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

1. **მაია მარღანია**, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
2. **მადონა შელია**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 23 მაისს 16-00 საათზე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://zoom.us/j/8978585107>

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის „_____“ _____

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი

ნინო მამარდაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია ინგლისური შესიტყვებების როლი დარგობრივ თარგმანში იურიდიული და ფინანსური ტექსტების საფუძველზე და მათი ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემები და ტერმინების ქართულად გადმოცემის საშუალებები. გამოვლენილია ყველა ის გარემოება, რომელიც გასათვალისწინებელია იურიდიული და ფინანსური დარგობრივი ტექსტების თარგმანის კვალიფიციურად შესასრულებლად. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დარგობრივი შესიტყვებების თარგმნის საკითხები და გამოვლენილია მათი ქართულ ენაზე თარგმნის მეთოდები. მასში ასევე წარმოდგენილია ის ძირითადი ენობრივი, თუ ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს დარგობრივი შესიტყვებების დამკვიდრებას ენაში. აქვე განხილულია მთელი რიგი გარემოებები, რაც ხაზს უსვამს დარგობრივი შესიტყვებების სწორი თარგმნის ეფექტურობას კომუნიკაციის პროცესში. შესწავლილია შესიტყვებების ფორმირებების ძირითადი ტენდენციები და ის კანონზომიერებები, რომლებიც გასათვალისწინებელია ხარისხიანი დარგობრივი თარგმანის შესრულებისას. ნიშანდობლივია რომ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, თარგმანმცოდნეობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. შესაბამისად, ნაშრომი განიხილავს იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროებენ ნათარგმნ მასალას დარგობრივ მიმართულებებში. სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე დინამიკურმა პროცესებმა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში, განაპირობა ტერმინოლოგიის, სიტყვათშეთანხმებებისა და ფიქსირებული ფრაზების შემოტანა და დამკვიდრება საერთაშორისო მთარგმნელობით პრაქტიკაში.

ნაშრომი განიხილავს ქართული იურიდიული და ფინანსური ტერმინოლოგიის ახალი ტერმინებით შევსების ტენდენციებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში

განხორციელებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს თანახმად ამ ენებში დამკვიდრებული ტერმინოლოგიური ერთეულების შემოტანა და დამკვიდრება საერთაშორისო იურიდიულ და ფინანსურ მიმართულებებში. ნაშრომი განიხილავს იურიდიულ და ფინანსურ დარგობრივ თარგმანში დინამიური ეკვივალენტობის პრობლემასა და იურიდიული და ფინანსური დარგის ტექსტების თარგმნის თავისებურებებს; ამასთანავე, განხილულია დარგობრივი ტერმინოლოგიის ლინგვისტური დანიშნულება. გაანალიზებულია ინგლისურენოვანი ტერმინ-შესიტყვებებისთვის ქართული ეკვივალენტების მისადაგება და მათი მართებული შესატყვისების შემოტანა და დამკვიდრება ქართულ ენაში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, იურიდიული და ფინანსური დარგობრივი ტექსტების თარგმნის ადეკვატურობის საკითხს და ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებსა და ხარვეზებზე რაც წარმოიქმნება იურიდიული და ფინანსური დარგობრივი ტექსტების თარგმანში. თანამედროვე მსოფლიოში იურიდიულ და ფინანსურ სფეროში მიმდინარე აქტიურმა პროცესებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დარგობრივი ლექსიკის ველეგების გააქტიურების თვალსაზრისით. ეკონომიკური და იურიდიული სფეროს განვითარება, პირდაპირ კავშირშია დარგობრივი ლექსიკის სისტემატიზაციასთან, რადგან სწორედ ეფექტური კომუნიკაცია წარმოადგენს საქმიანი ურთიერთობების წარმატების საწინდარს.

ნაშრომში გამოკვლეულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ტერმინოსისტემის გავლენა ქართულ ენაში არსებულ ლექსიკურ ერთეულებზე და დარგობრივი ხასიათის ტერმინოსისტემის ფორმირებაზე. ნაშრომში განხილულია ეკვივალენტობის პრობლემა და იურიდიული და ფინანსური დარგობრივი შესიტყვებების თარგმნის თავისებურებები, გაანალიზებულია ინგლისურ ენაში არსებული ტერმინ-შესიტყვებების მართებულად გადმოტანისა და სწორი ეკვივალენტის შესაბამისი აუცილებლობა ქართულ ენაზე. ყურადღება გამახვილებულია დარგობრივი ტერმინოლოგიის ენის დანიშნულებაზე, ეფექტური დარგობრივი თარგმანის განხორციელების კუთხით, დასმულია დარგობრივი ტექსტების თარგმნის ადეკვატურობის საკითხი, ასევე განხილულია დარგობრივი ტერმინ-შესიტყვებების კუთხით არსებული

პრობლემატიკა, რაც წარმოშობს გარკვეულ ხარვეზებს თარგმანის შესრულებისას და გარკვეულწილად ხელს უშლის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას სხვადასხვა დარგებში.

თემის აქტუალურობა

განპირობებულია საქართველოს აქტიური თანამშრომლობით საზღვარგარეთის ქვეყნებთან და იურიდიული და ფინანსური ბიზნეს ურთიერთობების გაფართოებით სხვადასხვა საქმიანი მიმართულებებით. შესაბამისად, დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მზარდი მოთხოვნა განპირობებულია, სამუშაო პროცესებში სწორი თარგმანის საჭიროებით. გამოიკვეთა დარგობრივი ტერმინოსისტემის შესწავლისა და მისი ფორმირების აუცილებლობა. თანამედროვე ინგლისურენოვანი იურიდიული და ფინანსური ტერმინოლოგია, მისი მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, წარმოდგენს ახალ სამეცნიერო საკვლევ მასალას. სწორედ ამ სფეროს აქტუალობა და არასათანადო კვლევების არსებობა ამ მიმართულებით, ქმნის სხვადასხვა სახის პრობლემებს ტერმინ-შესიტყვებების თარგმნასთან დაკავშირებით. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ იურიდიული და ფინანსური ტერმინოსისტემის კლასიფიკაცია, ხოლო მეორე მხრივ, ტერმინ-შესიტყვებათა ქართულ ენაზე თარგმნისა და დამკვიდრების ტენდენციების შესწავლა და გამოვლენა, ასევე ნაშრომი მოიცავს დარგობრივი ტერმინოსისტემის განსაზღვრასა და იმ ლინგვისტურ პრობლემათა ანალიზს, რაც აუცილებელია სწორი და ეფექტური თარგმანის შესასრულებლად.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია დარგობრივი ტერმინოსისტემის გადახედვა, ახლებური ტენდენციების გამოვლენა და შემუშავება მთარგმნელობითი კუთხით. დარგობრივი ტერმინ-შესიტყვებების მართებული ფორმების შემოტანა ქართულ ენაში და მათი ზუსტი ეკვივალენტების დადგენა. ასევე, მთარგმნელობა და უთარგმნელობის პრობლემების

ანალიზი და სხვადასხვა მთარგმნელობითი მეთოდების შემუშავება ეფექტური თარგმანის განხორციელებისთვის. თარგმანის პრაქტიკისა და თეორიების გადახედვა და ენის ლექსიკური მარაგის სისტემატიზაცია. ინგლისური და ქართული ენების სემანტიკური განსხვავებით გამოწვეული მთარგმნელობითი პრობლემების გადაჭრა და სტრუქტურული მახასიათებლების განსაზღვრა ეფექტური კომუნიკაციის წარმოების კუთხით.

ტერმინ-შესიტყვებები წარმოდგენს ფიქსირებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ენაში მზა ფორმით გვხვდებიან. მათი ზუსტი ანალოგის ცოდნა განაპირობებს ეფექტურ თარგმანს და ხელს უწყობს მთარგმნელსა, თუ თარჯიმანს სწრაფად და მართებულად განხორციელოს წყარო ენიდან, სამიზნე ენაზე თარგმანი. ტერმინ-შესიტყვებების ცოდნა ასევე წარმოაჩენს მთარგმნელისა და თარჯიმნის კვალიფიკაციას, რადგან ეს ფიქსირებული ლექსიკური ერთეულები ენის განუყოფელი ნაწილია და მათი სწორი გამოყენება ენის სათანადო ცოდნაზე მიუთითებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი დებულებები

იურიდიულ და ფინანსურ სფეროში მიმდინარე თანამშრომლობითი პროცესების წარმატებით განხორციელების კუთხით, თარგმანს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, საქმიანი თანამშრომლობის დამყარების კუთხით საკმაოდ დიდი როლი უკავია. ნაშრომში წარმოდგენილია იურიდიული და ფინანსური შესიტყვებების თარგმანის პრობლემების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები სწორი მთარგმნელობითი მეთოდების შერჩევის კუთხით. ასევე წამოდგენილია ის კანონზომიერებები, რომლებიც გასათვალისწინებელია მართებული ტერმინ-შესიტყვებების შემოტანისა და დამკვიდრების მიმართულებით. დარგობრივი ტერმინოლოგიის ერთი ნაწილი თარგმნადია, რაც გულისხმობს ეკვივალენტი ტერმინების არსებობას სამიზნე ენაში, ხოლო რაც

შეეხება მეორე - უთარგმნელ ნაწილს, თარგმანში გვხვდება მათი აღწერილობითი, ან პირდაპირი ჩანაცვლება. ნაშრომის ფარგლებში შესწავლილმა სხვადასხვა სახის იურიდიული, თუ ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზმა, შესიტყვებების თარგმანის კუთხით გამოავლინა მთელი რიგი სირთულეები, რაც მოითხოვს სათანადო ფორმირებასა და ამ ტერმინ-შესიტყვებების მართებული ეკვივალენტებით შემოტანას ქართულ ენაში.

კვლევაში პირველადაა შემუშავებული ამ დარგის ტერმინების სტრუქტურულ - სემანტიკური ანალიზი, აღნიშნული ტერმინოლოგიის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებები და სპეციფიკა. ასევე, შემუშავებულია აღნიშნულ მთარგმნელობით საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები. საკვლევი მასალა მოძიებულია სხვადასხვა სახის იურიდიული და ფინანსური ხასიათის დოკუმენტებიდან, როგორცაა: საქართველოს კონსტიტუცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ასოცირების ხელშეკრულება, იურიდიული და ფინანსური დარგების ხელშეკრულებები, ევროკავშირის დირექტივების ქართული თარგმანები, სააღრიცხვო და აუდიტის დოკუმენტაცია. ასევე, საკვლევი მასალა მოვიძიეთ ინგლისურ-ქართული და ინგლისურ ინგლისური ტერმინოლოგიური და ზოგადი ლექსიკონებიდან, ენციკლოპედიებიდან, ქართულად ნათარგმნი იურიდიული და ფინანსური სახელმძღვანელოებიდან, ინგლისური და ქართულენოვანი სატელევიზიო გადაცემებიდან, საერთაშორისო პუბლიკაციებიდან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

დასახული ამოცანების გადასაჭრელად ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რომელიც მოიცავს, ლინგვისტური მასალის გაანალიზებას, ენობრივი განსხვავებების გამოვლენას, მთარგმნელობითი მეთოდების შემუშავებას, სისტემური შეპირისპირების მეთოდებს, სტრუქტურულ-სემანტიკური და კონტექსტუალური ანალიზის მეთოდებს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ იურიდიული და ფინანსური ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებანი, განვსაზღვროთ ის განონზომიერებები, რომლებიც აუცილებელია დარგობრივი ტერმინოსისტემის ფორმირების კუთხით, გავანალიზოთ დარგობრივი ლექსიკის თარგმნის ზოგადი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტერმინების თარგმნის პრობლემების მოგვარებასა და ტერმინთა სისტემების ჰარმონიზაციაში ლინგვისტური მიმართულებით.

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული კვლევის შედეგები საშუალებას მისცემს მთარგმნელებსა და თარჯიმნებს ეფექტური კომუნიკაციის დამყარების ხელშეწყობის კუთხით. ამასთანავე, დარგობრივი ტერმინოსისტემის თარგმნის მიმართულებით გამოვლენილი კანონზომიერებები, წარმოადგენს ღირებულ მასალას მთარგმნელობითი და ლინგვისტური სალექციო კურსებისთვის; ასევე სამართალმცოდნეობის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლის პროცესში; ამასთანავე გარკვეულ წვლილს შეიტანს იურიდიულ და ფინანსურ დარგში თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხში და ეფექტური საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების საქმეში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ნაწილის, 10 ქვეთავისა და დასკვნისგან. თავი I ეძღვნება შესიტყვებების მიმოხილვის თეორიულ საფუძვლებს. თავი II განიხილავს დარგობრივი თარგმანის თავისებურებებს. თავი III განიხილავს დარგობრივი შესიტყვების თარგმანის სირთულეებს ინგლისური მაგალითებისა და ქართული ეკვივალენტების ანალიზის საფუძველზე. დასკვნაში განზოგადებულია სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საფუძველზე მიღებული შედეგები. დისერტაციას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 165 გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის სია 179 დასახელებულ წყაროს აერთიანებს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თარგმანმცოდნეობა შეისწავლის თარგმანის მიმართულებით არსებულ ლინგვისტურ პრობლემებსა და საკითხებს. თარგმანმცოდნეობის მიმართულებით ჩატარებული კვლევები, ხელს უწყობდა ქვეყნებს ისტორიული, კულტურული და სოციალური განვითარების კუთხით. ენა ვითარდებოდა და იხვეწებოდა ქვეყნებში მიმდინარე გლობალური პროცესების პარალელურად, რადგან სწორედ ის წარმოადგენს კულტურათაშორისი ურთიერთობების საწინდარს. ხალხებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, განპირობებულია ენის სწორი და მართებული გამოყენებით. სალიტერატურო და საკომუნიკაციო ენა მუდმივად წარმოადგენდა კვლევის ობიექტს, რადგან სწორედ მისი საშუალებით ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ურთიერთობების დამყარება. რაც შეეხება დარგობრივ ენას, მისი აქტუალობა მეტწილად განაპირობა გლობალურმა ცვლილებებმა სახელმწიფოთა თანამეგობრობის კუთხით. დარგობრივი ენა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც მას განასხვავებს ლიტერატურული ენისგან. შესაბამისად, ამ დარგის თარჯიმანსა და მთარგმნელს მოეთხოვება, სპეციფიკური ცოდნა მისი დარგის მიმართულებით. სწორედ აქ იკვეთება მთავარი სირთულე მთარგმნელისა ან თარჯიმნის კვალიფიკაციის კუთხით, ვინ უნდა

ასრულებდეს დარგობრივ თარგმანს: ლინგვისტი, თუ დარგის სპეციალისტი.

საქართველოს სწრაფვამ ევროატლანტიკური სივრცისკენ, განაპირობა მთელი რიგი საქმიანი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა მიმართულებით. მოგეხსენებათ, რომ მოლაპარაკებების წარმოების ერთადერთი საშუალება არის კომუნიკაცია, ხოლო ენა ერთადერთი სამუშაო იარაღი კომინიკაციის პროცესში. ინგლისური წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების ენას, რადგან ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურენოვანია. თარგმანის მიმართულებით გასათვალისწინებელია მთელი რიგი კანონზომიერებები, რათა წყარო ენაზე არსებული ტექსტი, სწორად გადავიტანოთ სამიზნე ენაზე, რაც განაპირობებს ამ თანამშრომლობის ეფექტურად განხორციელებას. სწორედ ამ მიმართულებით იკვეთება ენის ეკვივალენტობის პრობლემა და აქტუალურად მიმდინარეობს მისი შესწავლა დარგობრივ მიმართულებებში.

საქმიან ურთიერთობებში ჩართული მხარეები, სამუშაო ენად იყენებენ ინგლისურ ენას და შესაბამისად დგება თარგმანის აუცილებლობა. ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისა და სწორი მესიჯის გადატანის კუთხით, მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეებს ექმნებათ მთელი რიგი სირთულეები ენობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე. თუმცა, ენობრივი კომპეტენცია არ წარმოადგენს ერთადერთ დაბრკოლებას ამ მიმართულებით. ამ პროცესებში გასათვალისწინებელია მონაწილე მხარეების კულტურული და ისტორიული წარმომავლობა. სწორედ ეს გარემოებები წარმოშობს პრობლემის კომპლექსურობას და მოითხოვს სათანადო მიდგომებს, რათა ერთი მხრივ არ შეფერხდეს თანამშრომლობა და მეორე მხრივ ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტურ განვითარებას.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ განაპირობა ენის ლექსიკური კორპუსის ტრანსფორმაცია. ენაში მუდმივად შემოედინება და მკვიდრდება დარგობრივი ტერმინ-შესიტყვებები და შესაბამისად საჭიროა იმ კანონზომიერებების დადგენა, რაც ხელს შეუწყობს ტერმინოსისტემის სწორ ფორმირებას. დღესდღეობით ქართველი ლინგვისტებისთვის იურიდიული და ფინანსური შესიტყვებების

კვალიფიციურად თარგმნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რადგან თანამედროვე იურიდიულ და ფინანსურ სფეროში მიმდინარე თანამშრომლობა მოითხოვს ეფექტური კომუნიკაციის არსებობას. იურიდიული და ფინანსური სფერო გამუდმებით ვითარდება, იხვეწება და შესაბამისად, იურიდიული და ფინანსური ტერმინოლოგიაც მრავალფეროვანი ხდება. ეს პროცესი აისახება ბევრ ენაში და შესაბამისად, ქართული ენაც საჭიროებს გადახედვას ლინგვისტური კუთხით და მოზღვავებული ტერმინების მართებულ კლასიფიკაციასა და ფორმირებას. იურიდიული და ფინანსური დარგობრივი შესიტყვებები განსაკუთრებული ინტერესის საგანია მთარგმნელობითი თვალსაზრისით. მთარგმნელებისათვის უცხოენოვანი ლექსიკური ტერმინისათვის ქართული ეკვივალენტი ტერმინის მისადაგება ყოველთვის რთულ ამოცანას წარმოადგენდა. სპეციალისტები ტერმინთა ეკვივალენტურობის პრობლემების წინაშე დგანან, რაც განპირობებულია დარგობრივი ლექსიკონების ნაკლებობითა და ინგლისურენოვანი სპეციფიკური ტერმინოლოგიის ქართული ანალოგების სიმწირით.

თავი I. შესიტყვებების მიმოხილვის თეორიული საფუძვლები

თავი I ეძღვნება შესიტყვებების მიმოხილვის თეორიულ საფუძვლებს. შესიტყვებების კვლევის მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, მათი შესწავლა კვლავ აქტიურად მიმდინარეობს იმ გარემოებიდან გამომდინარე რომ შესიტყვება სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ჰეტეროგენულ ფენომენს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კვლევის სირთულეს. ენათმეცნიერებაში გვხვდება სამი ძირითადი ინდიკატორი რაც შესიტყვებებს, როგორც ლექსიკურ ერთეულს ახასიათებს:

სტრუქტურული მდგრადობა.

მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა.

ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა.

შესიტყვეებები ენაში გვხვდება მზა, ფიქსირებული ფორმით. ლინგვისტურ ლიტერატურაში ისინი გვხვდება იდიომატიზებულ, ლექსიკურ ერთეულებად. შესიტყვეებები ენის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების კუთხით. ენის შემოქმედებითობის უნარი ხელს უშლის მათი ფიქსირებული რაოდენობის განსაზღვრას, რადგან ენის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის უნარი განაპირობებს მათ მუდმივ წარმოქმნასა და დამკვიდრებას ენის კორპუსში. შესიტყვეების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობდა სოციალური, ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების პარალელურად. შესაბამისად, შესიტყვეებში ასახულია ერების მიერ შექმნილი, ის სოციალური თუ ფილოსოფიური გამოცდილება, რომელიც მათ ათწლეულების განმავლობაში შეიძინეს. შესიტყვეებში ასევე ასახულია ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ისტორია, ფსიქოლოგია, ტრადიციები და კულტურული რეალიები, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. ამასთანავე, შესიტყვეებს განიხილავენ სინამდვილესა და აზროვნებასთან თანაფარდობაში.

შესიტყვეების შესწავლის კუთხით გასათვალისწინებელია მთელი რიგი გარემოებები, როგორცაა ექსპრესიულობა, ხატოვნება, ინტენსიურობა და შეფასება. შესაბამისად, შესიტყვეების კვლევის მიმართულებით მუდმივად ვითარდებოდა და იხვეწებოდა ის მახასიათებლები, რომლებსაც მეცნიერები სხვადასხვა კლასი-ფიკაციით აყალიბებენ. შესიტყვეების მნიშვნელობისა და შინაარსის დადგენისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კონტექსტს, რომელშიც ისინი გამოიყენება. კონტექსტი გვეხმარება ორაზროვანი და ბუნდოვანი თანაგამოყენებადი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის განსაზღვრაში. კონტექსტი ერთ-გვარად ხელს უწყობს შესიტყვეების რეალიზებას, ამასთანავე წარმოაჩენს მათ კონკრეტულ მნიშვნელობასა და მათთვის დამახასიათებელ ბუნებას.

შესიტყვება, როგორც დარგობრივი ტერმინი, ხასიათდება ხუთი ძირითადი განმარტებით, რომელთაგან თითოეული რამოდენიმე ფუნქციით გამოიყენება:

1. ლექსიკური ერთეულების თავმოყრის ტენდენცია ტექსტსა თუ ტექსტურ კორპუსში, მათი შეჯგუფება და ურთიერთ-შეკავშირება მიუხედავად იმისა ქმნიან თუ არა სინტაქსურ მოდელს.
2. ლექსიკური ერთეულების თავმოყრა და ურთიერთშეკავშირება სინტაქსურ ჭრილში შეზღუდულია გამოყენების თვალ-საზრისით მხოლოდ ზოგადი წესებისა და გარემოებების გამო. (რომელსაც ასევე ეწოდება თავისუფალი/ღია შესიტყვება, ან ღია/თავისუფალი შესიტყვება);
3. ლექსიკური ერთეულების თავმოყრა და ურთიერთშეკავშირება სინტაქსურ ჭრილში, გამოყენების თვალსაზრისით შეზღუდულია არა მხოლოდ ზოგადი წესებისა და გარემოებების გამო, არამედ მისი შემადგენელი ელემენტების გამოყენების წესებიდან გამომდინარე (რომელსაც ხშირად ეწოდება შეზღუდული ტიპის შესიტყვება).
4. ლექსიკური ერთეულების თავმოყრა და ურთიერთშეკავშირება გაუთვალისწინებელი კრეატიული ფორმით რომელიც ეწინააღმდეგება ზოგად წესებს გამოყენების ან შეჯგუფების შეზღუდვებიდან გამომდინარე (მას მეტწილად უწოდებენ კრეატიულ კომბინაციას, ვიდრე შესიტყვებას).
5. ლექსიკური ერთეულების წინდებულთან ან გრამატიკულ სტრუქტურასთან შეკავშირების ტენდენცია, როგორცაა ინფინიტივი ან ბრუნვა (მას ეწოდება გრამატიკული შესიტყვება და განსხვავდება ლექსიკური შესიტყვებისაგან).

ამდენად, ჩვენ მუდმივად ვქმნით ახალ შესიტყვებებს უკვე არსებული შესიტყვებების გავრცობით და გამრავალფეროვნებით, ან მიზანმიმართულად ვაწყვილებთ საპირისპირო, ან განსხვავებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობებისა და შესიტყვებების მისაღებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენაში არსებული მოდელი, შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც არსებული ფონი, რომელთან მიმართებაშიც წარმოიშვება ახალი შესიტყვებები ახალი მნიშვნელობებით. ახალი შესიტყვებები ენაში მკვიდრდება გამოყენებასთან ერთად და ბოლოს ხდება ენის განუყოფელი

ნაწილი. თავის მხრივ ეს შესიტყვებები შესაძლოა შემდგომში გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის პროცესში გარკვეული მნიშვნელობებით და ეს პროცესი მიმდინარეობს შეუქცევადად.

თავი II. დარგობრივი თარგმანის თავისებურებები

თავი II განიხილავს დარგობრივი თარგმანის თავისებურებებს. მეცნიერება თარგმანის შესახებ ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. საუკუნეების განმავლობაში თარგმანი ვითარდებოდა და უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი არის თარგმანის განვითარების პიკი, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო თარგმანის პროცესის თეორიული ახსნა. ნებისმიერი ტიპის თეორია ეფუძნება გარკვეულ პრაქტიკას, სწორედ ამან განაპირობა თარგმანის პრაქტიკული დანიშნულება. პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებამ კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მეცნიერებას თარგმანის შესახებ.

დარგობრივი დოკუმენტაცია ასევე გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებებით. ესენია: მარტივი, რთული ქვეწყობილი, რთული თანწყობილი წინადადადებების, მტკიცებითი (და არა ძახილის და კითხვითი) წინადადებების გამოყენება, ვნებითი გვარის ხშირი გამოყენება, სტილისტიკური ხერხების ნაკლებობა (სომატური, გაცვეთილი მეტაფორების გარდა), პირდაპირი თქმის უქონლობა და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია მათ შორის არსებული განსხვავებებიც: დარგობრივი კორესპონდენციისათვის და კონტრაქტებისათვის უფრო დამახასიათებელია თხრობითი კილო. დარგობრივ ინსტრუქციებში კი გვხვდება ბრძანებითი კილოც. მიუხედავად იმისა, რომ კითხვითი და ძახილის წინადადებები დარგობრივ დოკუმენტაციაში არ გამოიყენება, დარგობრივ კორესპონდენციაში, რიგ შემთხვევაში, შეიძლება შეგვხვდეს როგორც კითხვითი, ისევე ძახილის წინადადებები. დარგობრივი ტექსტისთვის ასევე მნიშვნელოვანია ტექსტის ორგანიზება. დარგობრივი ტექსტები აზხაცვებად არის

დაყოფილი, დარგობრივ ინსტრუქციებში შეიმჩნევა სათაურებისა და ქვესათაურების სიმრავლე, ხოლო დარგობრივ საკითხებზე დადებული კონტრაქტები იყოფა პუნქტებად და ქვეპუნქტებად.

დარგობრივი თარგმანი, გარკვეული დოზით მოიაზრება შედარებით მარტივი თარგმანის ფორმად, რადგან ის არ საჭიროებს მხატვრულ გაფორმებას და უმთავრესი ამოცანაა მთარგმნელმა სწორად გადმოსცეს ავტორის აზრი. ასევე, მან შეძლებისდაგვარად უნდა შეინარჩუნოს მისი სტილის თავისებურებანი. თუმცა, იმისათვის, რომ სწორად გაიგოს სათარგმნი ტექსტი, მთარგმნელს აუცილებლად კარგად უნდა ესმოდეს მოცემული ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული უცხოენოვანი ტერმინოლოგია. დარგობრივი სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია გადმოცემის ზუსტი სიცხადე, ნათლად განსაზღვრული წინადადებები და ფორმის ლაკონურობა. თარგმანის შესრულებისას მთარგმნელს მოეთხოვება ზედმიწევნით და ზუსტად გადმოსცეს ავტორის აზრი, მისცეს მას მისაღები დარგობრივი სტილი, რომელიც სათარგმნ ენაზე უფრო მისაღები იქნება დაინტერესებული პირებისათვის.

დარგობრივი თარგმანი არის მთარგმნელობითი საქმიანობის ის სფერო, რომელშიც პროფესიულად მაღალ დონეზე შესრულებული სამუშაო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაღალკვალიფიციური დარგობრივი სპეციალისტების საშუალებით, რომლებმაც კარგად იციან საგნობრივი სფერო და მისი სპეციფიური ტერმინოლოგია, სათანადოდ ფლობენ უცხო ენას და რაც ყველაზე მთავარია, ნათლად გამოხატავენ თავის აზრებს სათარგმნ ენაზე და არ არღვევენ ორიგინალის სტილსა და არსს. დარგობრივი თარგმანის მთავარი სირთულე მდგომარეობს ერთი სფეროს სპეციალური ტერმინოლოგიის ცოდნის გადატანა მეორე სფეროში. ამის გამო დარგობრივი თარგმანისას ყოველთვის აუცილებელია ერთ-დროულად იქნეს გამოყენებული დარგობრივი და განმატებითი ლექსიკონები.

დარგობრივი თარგმანი ის ინსტრუმენტია, რომელიც სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს ხელს უწყობს გაცვალონ ერთმანეთში სამეცნიერო-დარგობრივი და ვიწრო სპეციალიზებული ინფორმაცია. დარგობრივი ტექსტის სახეობებია დოკუმენტები, ლექსიკონები, საცნობარო ლიტერატურა, ინსტრუქციები, კონ-ტრაქტები. დარგობრივი ტექსტის თარგმანს

დიდი სირთულეები ახლავს, კონკრეტულად წარმოგიდგენთ ხუთ ნიშანდობლივ პრობლემას:

- მაქსიმალური სიზუსტე
- ტერმინებში და ცნებებში შეცდომის დაშვებამ შეიძლება შეცვალოს მთლიანი აზრი
- დარგობრივი ტექსტი უნდა გაფორმდეს შესაბამისი სტანდარტებით
- ყველა ტექსტში გამოყენებული უნდა იყოს სამეცნიერო-საქმიანი სამეტყველო სტილი
- დარგობრივი ტექსტის თარგმანი აგებული უნდა იყოს ლოგიკურად, ცხადად და ზუსტად.

დარგობრივი ლიტერატურის თარგმანი ძალზე რთული და შრომატევადია კონკრეტული სპეციალობის და ენის სფეროში ხანგრძლივი, დამაბული და კვლევითი სამუშაოს ნაყოფია. ასეთი სამუშაოს შესასრულებლად სასურველია, მთარგმნელს გააჩნდეს ძალზე მაღალი კვალიფიკაცია და ფლობდეს როგორც ორიგინალის, ისე სათარგმნი ენის დარგობრივ ენას სრულ-ყოფილად. თუმცა, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დარგობრივი ლიტერატურის თარგმნისას არ არის აუცილებელი ყველა სფეროს ღრმა ცოდნისა. იმისთვის, რომ კარგად ითარგმნოს, მთარგმნელი უნდა ხედავდეს დარგობრივი მასალის ფორმალურ-ლოგიკური სტილის წყობას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადეკვატური თარგმანის შესრულება რთულია, თუ მთარგმნელმა ან თარგმანმა არ იცის ყველა ის ლექსიკურ-გრამატიკული კანონზომიერებები, რომლებიც დარგობრივი ლიტერატურის საფუძველში დევს. თუმცა დარგობრივი ტექსტის სრული გაგება ხელეწიფება მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც აქვს სპეციალური დარგობრივი განათლება.

დარგობრივი თარგმანის დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ეკვივალენტობის დაცვას, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება ტექსტის სწორ პრაგმატულ, მიზანმიმართულ გამოყენებაში. ამასთანავე, თავს იჩენს სინქრონული თარგმანისა და მანქანური თარგმანის პრობლემებიც. სინქრონული თარგმანი გულისხმობს წყარო ენისა და სამიზნე ენის თანადროულ რეალიზაციას. შესაბამისად, ამ

ტიპის თარგმანს ახასიათებს მრავალი დარგობრივი და ფსიქოლოგიური ხასიათის სიმწევე. ზ. ა. პეგაჩიოვას მიხედვით, ძირითადი ფსიქოლოგიური პრობლემები, რომელსაც სინქრონისტი მთარგმნელი უპირისპირდება მდგომარეობს შემდეგში:

1. ტექსტის თანადროული მოსმენა და თარგმანი;
2. გადართვა ერთი ენის სისტემიდან მეორე ენის სისტემაზე;
3. საშუალება მხოლოდ ერთხელ მოისმინოს შეტყობინება;
4. მთარგმნელის მოკლე მეხსიერების შეზღუდული შესაძლებლობა.

თარგმნის პროცესში ასევე ვხვდებით სხვადასხვა ტიპის შემაფერხებელ გარემოებებსაც, როგორცაა, გაუთვალისწინებელი პრობლემები, რომლებიც ყოველთვის თან ახლავს თარგმანს: (დაბრკოლება ინფორმაციის სემანტიკური აღქმისა და დეკოდირების დროს, თარგმანის ტემპის დაცემა, არალოგიკურობა მოლაპარაკის სიტყვაში და ა.შ.) (კრუპნოვი 1976:27).

ამასთანავე დიდი როლი ენიჭება მთარგმნელის კომპეტენციას, სიტყვათა მარაგსა და გრამატიკული კომბინაციების სათარგმნი საკითხის რელევანტურ, ზედმიწევნით ცოდნას და მთარგმნელის ზოგად ერუდიციას. ეს გარემოებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეფექტური და სწორი თარგმანის კუთხით. აღსანიშნავია ის სტრესული გარემო და გადატვირთული სამუშაო პროცესი, რასაც სინქრონული თარგმანი მოიცავს.

თავი III. დარგობრივი შესიტყვების თარგმანის სირთულეები ინგლისური მაგალითებისა და ქართული ეკვივალენტების ანალიზის საფუძველზე

თავი III განიხილავს დარგობრივი შესიტყვების თარგმანის სირთულეებს ინგლისური მაგალითებისა და ქართული ეკვივალენტების ანალიზის საფუძველზე. ვინაიდან სახელმწიფოებს, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ეკონომიკური

ურთიერთობები აქტიურად ვითარდება, ენათმეცნიერება თანამედროვე საზოგადოებაში უდიდეს ყურადღებას უთმობს ინგლისური ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნას. სულ უფრო მეტი ადამიანი ამყარებს უცხოურ კომპანიებთან ურთიერთობებს. ამის გამო, ეკონომიკური ტერმინების ერთი ენიდან მეორე ენაზე ზუსტი თარგმნა მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მხარეთა შორის გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით.

ეკონომიკური ტერმინი სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც გამოიყენება მოცემული დარგის ლოგიკურად ჩამოყალიბებული ცნების აღსანიშნავად და წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის საფუძველს. ეკონომიკური ტერმინოლოგიის თარგმნისას გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური ლექსიკა იყოს მოკლე, სისტემური, ზუსტად გადმოსცემდეს ინფორმაციის, არ შეიცავდეს ემოციურ დატვირთვას. ეკონომიკური ტერმინების თარგმნისას ძირითად სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ცნებას შესაძლოა გააჩნდეს რამდენიმე მნიშვნელობა. აღნიშნული ფაქტი საშუალებას გვაძლევს ეკონომიკური ტერმინები დაიყოს ერთმნიშვნელობიან ან მრავალმნიშვნელობიან ერთეულებად.

სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას ინგლისურიდან ქართულად თარგმნისას შესაძლოა გააჩნდეს ან მიენიჭოს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა. ტერმინ-შესიტყვებების ფორმირება ხდება, ძირითად სიტყვასთან უშუალოდ დაკავშირებული დამაკონკრეტებელი ნიშან-თვისების მქონე ცნებების ტერმინზე დამატებით. ასეთი ტერმინები ფაქტობრივად წარმოადგენენ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებებს, რომლებიც მოცემულ ცნებას აერთიანებენ უფრო ზოგად და იმავდროულად ვიწრო ნიშან-თვისების მქონე კატეგორიაში. შესაბამისად იქმნება თავისებური ტერმინოლოგიური ბუდეები რომლებიც მოიცავს მოცემული მოვლენის მრავალრიცხოვან სახეობას. ამის მაგალითია საგადასახადო სისტემაში არსებული ლექსიკა.

იურიდიული სფეროს მთარგმნელს მრავალფეროვანი საქმიანობის არეალი გააჩნია, რაც მოიცავს კანონებისა და დებულებების, ხელშეკრულებების, დამფუძნებელი დოკუმენტების, მინდობი-ლობების, სანოტარო მოწმობების, იურიდიული მოსაზრებების, სარჩელის განცხადებების,

შუამდგომლობების, საადვოკატო დოკუმენტების, სამოქალაქო სტატუსის აქტების, მოქალაქეთა პირად დოკუმენტების და ა.შ. მასალის თარგმნას.

დოკუმენტის აღიარებისთვის სხვა ქვეყანაში, იურიდიული დოკუმენტების თარგმანი ხშირად მოითხოვს ლეგალიზაციას, აპოსტილს და ნოტარიულ დამოწმებას, რომლებიც მისი ნამდვილობას ადასტურებს. ამრიგად, იურიდიულ თარგმანზე მოთხოვნა არ ამცირებს მოთხოვნებს მის მაღალ ხარისხზე. ლექსიკური ერთეულებისა და იურიდიული ტექსტების სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური თარგმნისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ექსტრალინგვისტური ფაქტორები, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, ასევე დავეუფლოთ მთარგმნელობითი ტექნიკის ხერხებს.

თარგმნისას სპეციალური იურიდიული ტერმინოლოგიის დაუფლება თარჯიმნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან ამ სფეროში ტერმინები მთავარ როლს ასრულებენ, ხოლო მთელი ტექსტის გაგება მხოლოდ ტერმინის სწორად გაგებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინების ძირითადი მახასიათებლები სიზუსტე და ერთმნიშვნელოვანია, იურიდიულ ტერმინოლოგიას ხშირად ახასიათებს პოლისემია, ანუ სათარგმნი ენის ტერმინს მთარგმნელ ენაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. სწორი ვარიანტის შესარჩევად, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ენობრივ კონტექსტს, რომელშიც გამოყენებულია მოცემული სიტყვა. ტერმინები „law და agreement“ მრავალმნიშვნელობის მქონე სიტყვების ნათელი მაგალითებია, რომლებიც ხშირად გვხვდება იურიდიულ ტექსტებში.

მაშასადამე, დარგობრივი შესიტყვებები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოადგენს ერთგვარ სირთულეს თარგმანის პროცესში. მათ ახასიათებთ ფიქსირებული ფორმა, რომლის თარგმნა სინონიმური, ეკვივალენტური ან შინაარსობრივი ფორმით სავსებით დაუშვებელია. ეფექტური თარგმანი საჭიროებს დარგობრივი შესიტყვებების დამკვიდრებული და მიღებული ფორმით გამოყენებას.

იურიდიული თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და ინგლისურიდან ქართულ ენაზე არის ორი განსხვავებული

მიმართულების, მაგრამ ურთიერთგამდიდრებელი და მჭიდრო ურთიერთდაკავშირებული პროცესი. ეს ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ სიტუაცია, რომელიც პრობლემურია მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნისთვის, შეიძლება პრობლემური სიტუაციის გამოსავლის წყარო გახდეს საპირისპირო მიმართულებით თარგმნისას. კვლევის პერიოდში ჩვენ გამოვარჩინეთ მრავალი იურიდიული ტერმინი, რომლის თანახმადაც, ქართულიდან ინგლისურად თარგმნისას პრობლემა შეიძლება წარმოვადგინოთ მთარგმნელობითი გადაწყვეტილების მიღებას ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნისას. ტექსტის თარგმნის იურიდიული სისწორის უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, იურიდიული თარგმანის ამგვარი „დიალექტიკური“ აღრიცხვა, როგორც ჩანს, თარგმანის პრაქტიკის არსებითი ელემენტია.

კვლევის დროს ჩვენ დავადგინეთ თარგმანის შემდეგი დილემები, რომლებიც აუცილებლად წარმოიქმნება იურიდიული თარგმანის პროცესში: ა) დილემის წინაშე მდგომი თარჯიმანი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ოფიციალურ ქართულ თარგმანებს ან თარგმანს, რომელიც ითვალისწინებს საშინაო სამართლის ტერმინოლოგიურ რეალიებს, იძულებულია ენობრივ-სამართლებრივ კომპრომისზე წავიდეს. ამ დილემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის თარგმნის პრაგმატული ასპექტისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. ბ) სათარგმნ ენაზე ნაპოვნი ტერმინოლოგიური ეკვივალენტები შეიძლება იყოს ვიწროპროფესიული ხასიათისა და, შესაბამისად, თარჯიმანი არჩევანის წინაშე დგება მკაცრი ტერმინის გამოყენების, რომელიც შეიძლება ყოველთვის არ იყოს გასაგები ან ცნობილი ტექსტის მიმღებისთვის, და აღწერილობით თარგმანს შორის, რომელსაც საბოლოოდ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს პრაგმატული კომპონენტის გათვალისწინებით. თარგმანი უნდა იყოს რაც შეიძლება კომპაქტური და გამჭვირვალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია Plain English Campaign-ის პრინციპებზე დაყრდნობით; გ) იურიდიული თვალსაზრისის სემანტიკაში ცვლილებების არსებობის შემთხვევაში, არა მხოლოდ ლექსიკურ ერთეულებში, არამედ ტერმინოლოგიის მომხმარებელთა გონებაში, ხალხის საკმაოდ ფართო წრის მიერ ტერმინის აღქმაში და

ინტერპრეტაციაში, თარჯიმანს უწევს არჩევანის გაკეთება: შექმნას მთარგმნელობითი კოორდინატების ახალი სისტემა, აქცენტი გააკეთოს მხოლოდ ლექსიკონის განმარტებებზე და ლექსიკური განმარტებების გამოყენებით, ან ინტეგრირება მოახდინოს იმ კოორდინატა სისტემაში, რომელიც განსაზღვრულია ტერმინოლოგიის პრაქტიკული გამოყენებით, და მოიძიოს ახალი ენობრივი ტერმინოლოგიური მიმოწერა, რადგან თარგმანისათვის საჭირო ტერმინი "დატვირთული" იქნება სხვა მნიშვნელობით. ამგვარი ძიების ორიენტირი შეიძლება იყოს ტერმინის სინონიმი იმ სემანტიკაში, რომელშიც ცვლილებები მოხდა.

კვლევის დროს ჩვენ გამოვავლინეთ ენობრივი ტერმინების თეორიული მოთხოვნების შეუსაბამობის შემთხვევები და ქართული სამართლებრივი დარგის ტერმინოლოგიური რეალიები. ჩვენი კვლევის პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი ლექსიკური და ლექსიკოგრაფიული ხარვეზები: ორაზროვანი იურიდიული ტერმინები ხშირად სრულად არ არის გაშუქებული არსებულ ქართულ-ინგლისურენოვან იურიდიულ ლექსიკონებში, რომლებიც აღრიცხავს ამ პოლისემანტიური ერთეულების ყველა მნიშვნელობას. ეს გარემოება ართულებს თარგმნას, რადგან თარჯიმანის განკარგულებაში არ აქვს დეტალური და ნათლად სტრუქტურირებული ლექსიკონი და საცნობარო წყაროები. ჩვენ მიერ შესწავლილი ტერმინები და მათი გამოვლენილი მნიშვნელობები ნაწილობრივ საშუალებას გვაძლევს ეს გამოვასწოროთ; ბ) იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი იურიდიულ ტერმინს ახასიათებს ერთიმანეთთან მიახლოებული რამოდენიმე მნიშვნელობა, რომლებსაც ტერმინს მასთან გამოყენებული ზედსართავი სახელი აძლევს, თარგმანის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ზოგადი სამართლებრივი მნიშვნელობის შენარჩუნებისას მნიშვნელობის ნიუანსების გადაცემა. ამასთან, არსებული ქართულ-ინგლისური იურიდიული ლექსიკონები ყოველთვის არ ეხმარებიან თარჯიმანს ამ პრობლემის მოგვარებაში. ჩვენი აზრით, ჩატარებული კვლევის ანალიზის შედეგებს გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ მიმართულებით ლექსიკოგრაფიულ კვლევაში. გ) ორენოვანი ქართულ-ინგლისური იურიდიული ლექსიკონების შემდგენლებს სრულფასოვნად არ აქვთ გააზრებული ისეთი ფენომენი, როგორიცაა ენათმორისი პარო-

ნიმობა, რაც იწვევს ლექსიკონებში თარგმანის იმ ვარიანტების შესვლას, რომლებიც ყოველთვის არ ასახავს ინგლისურენოვანი სამართლებრივი გამოყენების რეალური სურათს.

მესამე თავის ბოლო ქვეთავია **მიზნობრივ აუდიტორიაზე გათვლილი რაოდენობრივი და თვისობრივი გამოკითხვის შედეგები**, კვლევის ფორმატი მოიცავს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ კვლევას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროფესიის და ასაკობრივი ჯგუფის ადამიანმა, რომელთა საქმიანობის სფერო მოიცავს თარგმანს. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა დარგობრივი შესიტყვებები თარგმანის კუთხით საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ენის სპეციალისტებისთვის. დარგობრივი შესიტყვებების თარგმანის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიკვეთა რამოდენიმე ტიპის შეცდომა თარგმანის პროცესში რაც ხელს უშლის აზრის სწორ გადატანას და ეფექტური თარგმანის განხორციელებას. შესიტყვებებში შემავალი კომპონენტების პირდაპირი თარგმანი წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას, ამ კუთხით რიგ შემთხვევებში სრულიად ირღვევა შესიტყვების შინაარსი და კონტექსტი. ასევე გასათვალისწინებელია ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მიღებული შეცდომები რომელიც სრულიად განსხვავებულ აზრს აყალიბებს ინგლისურ ენაზე თარგმანის დროს. თარგმანის პროცესში მთარგმნელები და თარჯიმნები ხშირად მიმართავენ შესიტყვებაში შემავალი სიტყვების ჩანაცვლებას მათი სინონიმებით, თუმცა შესიტყვებების არსიდან გამომდინარე, შინაარსობრივად ყველაზე ახლო მდგომი სინონიმური სიტყვის გამოყენებაც კი, სრულიად დაუშვებელია შესიტყვების შედგენის კუთხით, რადგან შესიტყვებები შეიცავს ფიქსირებულ სიტყვებს რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში გამოიყენება

დასკვნა

ინგლისურენოვანი იურიდიული და ფინანსური ტერმინ-შესიტყვებების განხილვისა და პრობლემების ანალიზის საფუძველზე, მთარგმნელობითი მიმართულებით გამოიკვეთა რიგი საკითხები, კერძოდ: თანამედროვე იურიდიული და ფინანსური ორკომპონენტური და მრავალკომპონენტური ტერმინ-

შესიტყვებები და მათი თარგმნის პრობლემები შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზის კუთხით; თარგმნადობისა და უთარგმნელობის მომენტი დარგობრივ ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებაში; ეკვივალენტობის ცნება სპეციფიკური ტერმინების თარგმანის კუთხით; ტრანსლიტერაციის და შინაარსობრივი თარგმანის აუცილებლობა ეკვივალენტების არ არსებობის თვალსაზრისით სამიზნე ენაში; იურიდიული და ფინანსური ტექსტების თარგმანი, ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული ლინგვისტური განსხვავებების შეპირისპირებითი ანალიზის მიხედვით და განსხვავებული მთარგმნელობითი მიდგომების გამოყენება დარგობრივ ტექსტებზე მუშაობის პროცესში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, იურიდიული და ფინანსური დარგობრივი შესიტყვებების კვლევის პრობლემების ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ლექსიკური ერთეულები წარმოადგენენ ლიტერატურული ენის ერთგვარ ქვესისტემას, რომელიც გარკვეულწილად არ ექვემდებარება სალიტერატურო ენის ნორმებს და საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას მთარგმნელობითი კუთხით. ეფექტური კომუნიკაციის წარმოებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ადეკვატურად შესრულებულ იურიდიული და ფინანსური ტერმინ-შესიტყვებების თარგმანს. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტურად დამყარების მიმართულებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თარგმანის როლი საქმიანი კომუნიკაციის პროცესში, რაც შესაბამისად მოითხოვს დარგობრივი ენის დახვეწასა და სისტემატიზაციას.

ინგლისური და ქართული ტერმინების სემანტიკური და სტრუქტურული თავისებურებების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული თავისებურებები. ნაშრომში ხაზგასმით არის წარმოჩენილი ის გარემოება, რომ ტერმინ-შესიტყვებების როლი კომუნიკაციის სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანია, რაც თავის მხრივ, მოითხოვს სწორი ეკვივალენტების შემოტანასა და დამკვიდრებას ქართულ ენაში. შესიტყვებების ზუსტი ანალოგის გამოყენება ენაში, განაპირობებს წყარო ენაში მოცემული ტექსტის სამიზნე ენაში ეფექტურ გადატანას. ეს უკანასკნელი კი

უზრუნველყოფს ხარისხიან თარგმანს და ურთიერთობების შემდგომ განვითარებას დარგობრივ მიმართულებებში.

კვლევა მიმოიხილავს ინგლისურ და ქართულ ტერმინ-შესიტყვებებს და ხელს უწყობს მათ სისტემატიზაციას და ფორმირებას ლინგვისტური კუთხით. ნაშრომი ასევე განიხილავს დარგობრივი ტერმინების შემოტანა-დამკვიდრებასა და ტრანსფორმირებას სამიზნე ენაში. კვლევის ფარგლებში მოვახდინეთ ტერმინ-შესიტყვებების ერთგვარი კლასიფიკაცია, მათი სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ასევე განვიხილეთ ის გრამატიკული, თუ ლექსიკური კანონზომიერებები, რომლებიც განაპირობებს შესიტყვებების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას ენაში. სადისერტაციო ნაშრომში გამოვავლინეთ ის ტერმინ-შესიტყვებები, რომლებმაც ენაში დამკვიდრების კუთხით განიცადეს ერთგვარი ტრანსფორმაცია და მეორეს მხრივ, ის ტერმინ-შესიტყვებები, რომლებიც პირდაპირი ფორმით, კერძოდ ტრანსლიტერაციის, ან ტრანსკრიფციის მეთოდით, შემოვიდა და დამკვიდრდა ენაში. კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ამ ლექსიკური ერთეულების განვითარებისა და ფორმირების ტენდენციები.

ნაშრომში განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორცაა ენების ურთიერთზეგავლენა, ანუ „ინტერფერენცია“, როგორც ამას ლინგვისტები უწოდებენ. იგი გარკვეულწილად განაპირობებს სხვადასხვა ტიპის თარგმანებში ინგლისურ-ქართული იურიდიული და ფინანსური შესიტყვებების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს „თარგმნადობისა და უთარგმნელობის“ ასპექტებს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დარგობრივი ლექსიკური ერთეულების თარგმანის კუთხით. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ, როგორც ინგლისურ ისე ქართულ ენებში კალკირებულ კონსტრუქციებსა და გავრცელებულ შეცდომებზე. ცალკე გამოვყავით ტერმინები, რომლებიც პირდაპირი ტრანსკრიფციული ფორმით შემოდის და მკვიდრდება ენაში. ამასთანავე გამოიკვეთა ბარბარიზმების შემოტანის და ენის „დაბინძურების“ გარემოებები. ასევე გაანალიზებულია ის ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ენობრივი დეტალები, რომლებიც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია

იურიდიული და ფინანსური ტექსტების თარგმანის ეფექტურად შესასრულებლად. ეს გარემოება გარკვეულწილად ეხება ენობრივი გრამატიკული შეზღუდვებიდან გამომდინარე სირთულეებს, რაც თავს იჩენს დარგობრივ ტექსტებზე მუშაობისას და გარკვეულწილად ხასიათდება სპეციფიკური ბუნებით. ნაშრომში ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ იურიდიული და ფინანსური ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისით განხილვა, რადგანაც ტექსტი არის ლინგვისტური შესწავლის ობიექტი, მითუფრო როდესაც საქმე ეხება იურიდიული და ფინანსური დარგის ტექსტების თარგმანს, საყურადღებოა მთელი რიგი სპეციფიკური ლინგვისტური კანონზომიერებების გათვალისწინება.

ნაშრომის ფარგლებში შესრულებულ კვლევაზე დაყრდნობით წარმოვადგინეთ, ტერმინწარმოების სამი ტრადიციული მეთოდი, კერძოდ: ლექსიკურ-სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. ინგლისურენოვან იურიდიულ და ფინანსურ ლექსიკაში გვხვდება სემანტიკური გზით წარმოებული ტერმინ-შესიტყვებები, რომლებიც დარგობრივ ენაში აქტიურად გამოიყენება. ენის განვითარების პარალელურად, ტერმინწარმოების საშუალებით საბაზო ტერმინებიდან მომდინარეობს და ფორმირდება ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შემდგომში თავის ადგილს იკავებს ენის ლექსიკურ კორპუსში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იურიდიული და ფინანსური ტერმინ-შესიტყვებების უმეტეს ნაწილს შეადგენენ ისეთი ტერმინები, რომლებიც მიიღება ლექსიკურ-სემანტიკური მეთოდით და რომლებიც პერიოდულად ამდიდრებს ენის ლექსიკურ ბაზას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სრულყოფილი თარგმანის შესრულების კუთხით.

ჩვენს ნაშრომში განგვიხილეთ იურიდიული და ფინანსური ტექსტების ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც გარკვეულწილად ართულებს თარგმანის პროცესს და საჭიროებს სათანადო კვალიფიკაციას დარგობრივი თარგმანის კუთხით. იქიდან გამომდინარე, რომ იურიდიული და ფინანსური სფეროს ტერმინოლოგია არასათანადოდაა შესწავლილი, იკვეთება ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევების აუცილებლობა. იურიდიული და ფინანსური სფეროს ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და სწორი ეკვივალენტების მოძიების კუთხით,

საჭიროა დარგის სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა ლინგვისტებთან, რათა მოხდეს არსებული მწირი ინფორმაციის გამრავალფეროვნება, დახვეწა და შემდგომი სისტემატიზაცია.

თარგმანმცოდნეობის სფეროს შემსწავლელი კვლევების უმეტესი რაოდენობა ჩატარებულია ლინგვისტების მიერ, ამასთანავე მათ შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც გასათვალისწინებელია ზოგადად თარგმანის შესრულებისას, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ დარგობრივი თარგმანის კუთხით ეს მოსაზრებები გარკვეულ გადახედვას საჭიროებს. კერძოდ, იურიდიული და ფინანსური ტექსტების თარგმანთან დაკავშირებული მიდგომები და კანონზომიერებები უნდა შემუშავდეს, როგორც ლინგვისტების ისე, დარგის სპეციალისტების აქტიური ჩართულობით. ეს საშუალებას მოგვცემს ნაშრომში გამოკვეთილი რეკომენდაციები კიდევ უფრო დავხვეწოთ მომავალ კვლევებში და დარგის სპეციალისტებთან ერთობლივი თანამშრომლობით, მოვახდინოთ სპეციფიკური ტერმინების სისტემატიზაცია. ეს კი, თავის მხრივ ხელს შეუწყობს, საერთაშორისო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას, რომლის შესრულების წინაპირობა სწორი თარგმანია. ჩვენი ნაშრომი, გარკვეულწილად დაეხმარება დარგის სპეციალისტებს უკეთესი ტენდენციების გამოვლენაში და ჩვენი ჩართულობა ამ მიმართულების გასაძლიერებლად მოემსახურება იმ საერთო საქმეს, რომელსაც დარგობრივი ტერმინოსისტემის დახვეწისა და განვითარების კუთხით შევასრულებთ.

ჩატარებული კვლევების შედეგად იურიდიული და ფინანსური დარგობრივი შესიტყვებების თარგმანის კუთხით, გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემატური ასპექტები:

1. თარგმნადობა და უთარგმნელობის პრობლემა, ტექსტის წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადატანის კუთხით, რაც გამოწვეულია შესატყვისი ლექსიკური ერთეულების ნაკლებობით;
2. ეკვივალენტობის პრობლემა თარგმანში, ტერმინ-შესიტყვებების გადატანა მათი სინონიმური ეკვივალენტებით, ან მათი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე;
3. სწორი ტერმინოლოგიის შესაბამეობა კულტურული გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც სინონიმების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მართებულ თარგმანს;

4. სტილისტური კონოტაციურობის პრობლემა დარგობრივი ტექსტების თარგმანისას;
5. ტერმინთა ფორმირების ტენდენციები, მათი სწორი შესატყვისების შემოტანა და დამკვიდრება სამიზნე ენაზე;
6. ტრანსლიტერაციის პრობლემა, ტერმინების შემოტანა და დამკვიდრება პირდაპირი ფორმით, როდესაც სამიზნე ენაში არ მოიძებნება ზუსტი შესატყვისი;
7. იდენტური სიტყვების განსხვავებული მნიშვნელობები სხვადასხვა სპეციფიკის დარგებში, რაც საჭიროებს დარგის სპეციალისტის უშუალო ჩართულობას სწორი ეკვივალენტის მისადაგების კუთხით;
8. სალიტერატურო ენის ტრანსპოზიცია დარგობრივ ენაში, როდესაც ლიტერატურულ ტექსტში გამოყენებული სიტყვა, განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება დარგობრივ ტექსტში;
9. ტერმინ-შესიტყვებების ტრანსფორმაციის პრობლემა, პერიოდულად მათი ახალი, სახეცვლილი მნიშვნელობების ფორმირება და გამოყენებიდან ამოღებული მნიშვნელობების აქტუალობის საკითხი;
10. ბარბარიზმების პრობლემა დარგობრივი ტერმინ-შესიტყვებების კუთხით, რაც განპირობებულია დარგის სპეციფიკით და წარმოადგენს მარტივ, თუმცა გარკვეულწილად არამართებულ ტენდენციას, ლექსიკური ერთეულების შემოტანისა და დამკვიდრების მიმართულებით;
11. განსხვავებული მთარგმნელობითი ტენდენციების გამოვლენის აუცილებლობა, მათი სწორი შერჩევა და გამოყენება ზუსტი თარგმანის განხორციელების კუთხით;
12. ორკომპონენტური და მრავალკომპონენტური ტერმინ-შესიტყვებების თარგმნის პრობლემატიკა;
13. გრამატიკული სტრუქტურების სწორი თარგმანი. მაგალითად: მოდალური ზმნების, წინდებულების, მოქმედებითი და ვნებითი გვარის მართებული გამოყენება.

ლინგვისტური განსხვავებებიდან გამომდინარე ქართულ და ინგლისურ ენებში, თარგმანის მიმართულებით არსებული ზემოთ აღნიშნული პრობლემები საჭიროებს გადახედვას და სისტემაში მოყვანას. დარგობრივი ტექსტების თარგმანთან დაკავშირებით აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა დარგის

სპეციალისტებთან, რათა თავიდან ავიცილოთ ენობრივი ნორმების დარღვევა და ქართული ენის „დაბინძურება“, როგორც ამას არაერთი ენათმეცნიერი უწოდებს. ტექსტზე მუშაობის პროცესში გასათვალისწინებელია რამოდენიმე ეტაპი, რომელიც მთარგმნელმა ან თარჯიმანმა ზედმიწევნით სწორად და ყურადღებით უნდა გაიაროს. კერძოდ, უნდა უზრუნველყოს სათარგმნი ტექსტის სიღრმისეული გაცნობა და მისი მომზადება სათარგმნად. ასევე, თარგმანის შესრულების პროცესში აუცილებელია სწორი მთარგმნელობითი მოდელის შერჩევა და მთარგმნელობითი ხერხების ლავირება, რათა სწარმო ენაზე მოცემულმა ტექსტმა, მაქსიმალურ ეკვივალენტობას მიაღწიოს სამიზნე ენაზე. თარგმანის შესრულების საბოლოო ეტაპს წარმოადგენს, მისი გადამოწმება, როგორც დედანთან მიმართებაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში დარგის სპეციალისტთან, ენობრივი სიზუსტის დაცვის კუთხით.

ოცდამეერთე საუკუნე განსაკუთრებით გამოირჩევა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებით. გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ერების საქმიან თანამშრომლობას, ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია იურიდიული და სამართლის სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლის ეფექტურად განხორციელებას განაპირობებს სწორი კომუნიკაცია, კერძოდ ეფექტური თარგმანი. ასევე იკვეთება, ინგლისური ენის, როგორც სამუშაო ენის მნიშვნელოვანი როლი აღნიშნული თანამშრომლობის გაფართოების კუთხით. დარგობრივი თარგმანი, რომლის კვლევა წარმოადგენს ერთგვარ სიახლეს, არის ამ საერთაშორისო პროცესების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოში არსებული ამ დრომდე არასათანადოდ შესწავლილი იურიდიული და ფინანსური დარგის მასალა, საჭიროებს გადახედვასა და სისტემატიზაციას და ახალი კანონზომიერებების შემოღებას. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ნაშრომში ჩატარებული კვლევები და გაზიარებული დასკვნები პოზიტიურ როლს შეასრულებს ლინგვისტიკაში დარგობრივი მიმართულებით შემდგომი კვლევებისა და შესწავლის პროცესში.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა:

1. “Cognitive and functional approach to technical collocations. ტექნიკური შესიტყვებების კოგნიტიური და ფუნქციო-ნალური მიდგომა”. Journal Association 1901 “SEPIKE”, Edition 22, p-ISSN: 2196-9531; e-ISSN: 2372-7438: Journal Association 1901 SEPIKE, US Edition.
2. “შესიტყვებების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები ინგლისური ენის შესწავლის კუთხით”. კულ-ტურათაშორისი კომუნიკაციები, N31, 2019, ISSN 1512-4363.
3. “ლექსიკური და გრამატიკული შესიტყვებები როგორც მომიჯნავე ცნებების ინგლისური ენის შესწავლის კუთხით”. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექ-ტუალი“ N 37, 2018, ISSN 1512-2530



**St. Andrew the First - called Georgian University of the
Patriarchate of Georgia**

**The School of Humanities and Law
Doctoral – Educational program “Philology”**

With the right of manuscript

Nino Khuberashvili

**The role of collocations in field translation
(law and finance texts)**

**Based on the examples of Georgian and
English languages**

Dissertation Abstract

Submitted for PhD in Philology

0232.1.3 Philology

Tbilisi

2020

The dissertation thesis has been conducted at the School of Humanities and Law of St. Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Scientific Supervisor: Lela Abdushelishvili, Doctor of Education Science

Official Assesors:

1. Maia Margania, Doctor of Philology

2. Madona Shelia, Doctor of Philology

